მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №24(134) 2016 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოისმინეს ანგარიშები

21 დეკემბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ დღის წესრიგი გააცნო.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა.**

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ქ. საგარეჯოში დ. ადმაშენებლის ქ. №9-ში მდებარე შენობის II სართულის ორი ოთახის 56 მ2 ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის ფორმით (ქირავნობა) საქართველოს პარლამენტის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროზე გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის, მშენებლობის, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსმა*** **ბიორგი ქურდოვანიძემ.**

საკითხის „არასამეწარმეო იურიდიული პირის სკოლამდელთა დაწესებულებათა გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 ოქტომბრის №92 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა*** **არჩილ ჯაბადარმა.**

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ინტერესით მოისმინეს საკითხი ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 2016 წლის ანგარიში.***

თავის საანგარიშო მოხსენებაში მუნიციპალიტეტის გამგებელი ვრცლად შეეხო გამგეობის მიერ და კონკრეტულად, გამგეობის სამსახურების მიერ გაწეულ მუშაობას. მან თავისი ანგარიშის წარდგენა მუნიციპალიტეტის ***გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის*** მიერ გაწეული მუშაობით დაიწყო. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარე წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესულია სულ 7339 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, უმწეოთა თავშესაფარს, მშენებლობათა ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრიებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა 1 აგვისტოდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესული წერილები.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველვყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას.

მზადდება ტაბელების და შვებულების გრაფიკი, ასევე სამივლინებო მოწმობები. (სულ 334 სამივლინებო მოწმობაა გაცემული).

საარქივო დოკუმენტების მიღება-დამუშავება-შენახვას უზრუნველყოფენ არქივის თანამშრომლები. არქივში დაცული მასალები 2000 წლიდან დღემდე საკრებულოს და გამგეობის კუთვნილი დოკუმენტებია. კერძოდ: კანცელარიის, საფინანსო, ზედამხედველობის, იურიდიული სამსახურების დოკუმენტაცია, ასევე საკრებულოს,.წლის ბოლოსთვის არქივში მიმდინარეობს საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2016 წლის აგვისტომდე წარმოებული დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესი.

მიმდინარე წელს იუსტიციის სამინისტროდან შემოსული წერილის მოთხოვნის საფუძველზე სოფლების წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ სამსახურს ჩაბარდა საკომლო წიგნები და გადაეცა საქართველოს ეროვნულ არქივს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის , საინფორმაციო, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირებას. მათ მიერვე ხორციელდება კომპიუტერული ქსელების ტექნიკური გამართვა და აწყობა, კომპიუტერებზე ოპერაციული სისტემების დაყენება და საოფისე, თუ სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა

დამონტაჟდა ვიდეო კონტროლის კამერები და თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.

მიმდინარე წელს ადმინისტრაციულმა სამსახურმა დაიწყო ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

სოციალური ქსელის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის Facebook გვერდის ადმინისტრირების უზრუნველყოფა, პასუხების მომზადება გვერდის მომხმარებელთან კითხვებზე;

2016 წელს ადმინისტრაციული სამსახური აწარმოებდა მიმოწერას საქართველოს ლატვიის რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სხვადასხვა სფეროში შესაძლო თანამშრომლობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მნიშნელოვანი მუშაობაა დაწყებული საქართველოს მთავრობის დადგენილების „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის „სათათბირო ორგანოს – საბჭოს შექმნის შესახებ“ 2016 წლის 15 იანვრის № 14 ბრძანების თანახმად გამგებელმა გამგეობის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად დაიწყო მუშაობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად

მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიიღეს გომბორის, უჯარმის, კოჭბანის თემებმა, სოფლებიდან: ანთოკი, მარიამჯვარი, ზემო ყანდაურა და სათაფლე (სულ 17 სოფელი).

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით ჩატარდა სოფლის კრებები მაღალმთიან დასახლებებში. მოსახლეობასთან შეხვედრებმა ხელი შეუწყო მთის კანონის პოპულარიზაციას, მათ დაწვრილებით გაიცნეს სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია და არსებული საშედავათო პირობები. კანონი ემსახურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მომხსენებელი ასევე დაწვრილებით შეეხო იურიდიული სამსახურის მუშაობას, როგორც მან აღნიშნა, საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში შესულია 2 623 კორესპონდენცია, რომლებიც სათანადოდ იქნა განხილული და შესწავლილი.

იურიდიული სამსახური მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა გამგებლის, გამგეობის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას; უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში, იურიდიული სამსახური უწყვეტად უზრუნველყოფდა გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მო-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

მოისმინეს ანგარიშები

<u>გაგრძელება</u>

ქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

იურიდიული სამსახური იცავდა მუნიციპალიტეტის კანონიერ ინტერესებს სასამართლოში, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; კონკრეტულად, 2016 წელს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 19, რომელთაგან პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაშია შვიდი საქმე, სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია სამი საქმე, ხოლო უზენაესი სასამართლოს წამოებაშია ორი საქმე. შვიდ საქმეზე სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2016 წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შესულია 42 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 39 განცხადება,ხოლო 3 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლების თანახმად არ დაკმაყოფილდა; იურიდიული სამსახური უზრუნველყოფდა საანგარიშო წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესული მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას; გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, განთავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების,შვებულებაში გასვლის და მივლინების სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სულ: 713 (შვიდას ცამეტი) ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის შესაბამისად, საკრებულოს წარედგინა სულ 17 მიმართვა, მათ შორის: შესაბამისი დადგენილების მიღების მიზნით ნორმატიული აქტის ინიცირებული პროექტები,ნორმატიულ აქტებში ცვლილების, დამატების, ძალადაკარგულად გამოცხადების და ცალკეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე. ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ.

იურიდიული სამსახურის ორი თანამშრომელი მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული კომისიების მუშაობაში. კერძოდ, იურიდულ მხარეს კურირებენ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ“ კომისიაში, ასევე „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერების აღდგენის კომისიასა“ და „საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში.“

გამგეობის ***ზედამხედველობის სამსახურის*** მიერ 2016 წლის დეკემბრის თვემდე მიღებულია 41 მშენებლობა – დამთავრებული ობიექტი ექსპლუატაციაში. შეთანხმების 6 აქტია შედგენილი პროექტში ცვლილების შეტანაზე. გამოცემულია 16 გაფრთხილების აქტი.

ადგილობრივი დასუფთავების მოსაკრებლის თანხამ 2016 წლის ოქტომბრის ჩათვლით შეადგინა 33346,86 ლარი. ამ ეტაპზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ირიცხება ადგილობრივი დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი 241 საწარმოო დაწესებულება.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ მუდმივად ხდებოდა ობიექტების შემოწმება და მონიტორინგი, რაზედაც დგებოდა ობიექტის შემოწმების აქტი. ამ ეტაპზე დაწერილია 206 შემოწმების აქტი. აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება როგორც რეგიონულ და სოფლის პროგრამებზე, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სამშენებლო საქმეებზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობდა მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების დროულ აღმოფხვრას. ამისათვის სამსახურის სპეციალისტები მშენებელს სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას მიუთითებდნენ ხარვეზზე და მიმართავდნენ მოთხოვნით – ოპტიმალურ ვადაში დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მუდმივად ხდებოდა რეგიონული პროექტებისა და სოფლის პროგრამების შემოწმება/მონიტორინგი. იწერებოდა საველე აქტები და მონიტორინგი ეწეოდა პრობლემის აღმოფხვრის პროცესს.

ზედამხედველობის სამსახური ყოველ 2 დღეში ერთხელ ახორციელებდა გარეგანათების მონიტორინგს და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ოპერატიულად ატყობინებდა არსებული დაზიანებების შესახებ. გეგმიურის გარდა, ასევე ხშირად ხორციელდებოდა მონიტორინგი იმის დასადგენად თუ რამდენად სწრაფად აღმოფხვრა არსებული პრობლემა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ.

მსგავსი ზედამხედველობა ხორციელდებოდა დასუფთავების მიმართულებითაც. ასევე ყოველ 2 დღეში ერთხელ ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ამოწმებდნენ სიტუაციას ნაგვის ურნებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. ყოველი აღმოჩენილი დარღვევის შემდეგ რეაგირებისათვის მიმართავდნენ დასუფთავების სამსახურს, შ.პ.ს „პროგრესი 2011“-ს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ჯერჯერობით არ გააჩნია ბაზრის შენობა, რის გამოც ზედამხედველობის სამსახური გარემოვაჭრეთა მიმართ ლოიალურობას იჩენდა, მიუხედავად ამისა, ისინი იცავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და საფეხმავლო ბილიკებს გადატვირთვისაგან, რათა პრობლემა არ შექმნოდათ მოქალაქეებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ***შიდა აუდიტის*** სპეციფიკიდან გამომდინარე და ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე ჩასატარებელი შემოწმებები გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მოიცავდა წმინდა ფინანსური კუთხით შესამოწმებელ ობიექტებს,მეორე ნაწილი - მონიტორინგს. ეს უკანასკნელი კი ძირითადად მიმართული იყო წინა წლებში აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ ობიექტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე, რათა ადგილი არ ჰქონოდა შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ანალოგებს. გარდა ამისა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად სამუშაო გეგმაში პეროდულად გადამოწმების მიზნით ჩადებული იქნა სოციალურ ქსელებში, პრესაში თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოთქმული შენიშვნების, კრიტიკული წერილების შესწავლა-გაანალიზება.

შესამოწმებელი ობიექტების ნუსხაში ჩადებული და გამოკვეთილი იქნა ის პრიორიტეტი, როგორიცაა ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება, რაზედაც პერიოდულად მიმდინარეობდა გადამოწმებები.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა შემდეგი შემოწმებები:

1.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების მიერ დისციპლინის და კანონიერების დაცვის კონტროლი, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა შემოწმების მიზნით;

2 სოციალურ ქსელებში, პრესაში თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოთქმული შენიშვნების, კრიტიკული წერილების შესწავლა-გაანალიზება;

3 ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება, (პირველ მეორე კვარტალში);

4 სოფლის პროგრამების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მუშაობის სისრულე;

5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვებაზე გამოყოფილი თანხების ათვისება-კანონიერება;

6.სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებების გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების დროს გამოყოფილი თანხების ხარჯვის საკითხები;

7. ა.ი.პ 105 სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობა;

8 .ადმინისტრაციულ სამსახურში საჩივარ-განცხადებებზე, წერილებზე დროული რეაგირების და მიღებულ გადაწყვეტილებებზე და გაცემულ პასუხებზე კანონიერების შესწავლა;

9 საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის მოქალაქეთა თუ სხვა უწყებებისგან მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღებისათვის გატარებული ღონისძიებებთან დაკავშირებით;

10. შ.პ.ს „ გარეჯის მაცნე”-ს მიერ გაწეული საქმიანობა;

11. ბიუჯეტის ხარჯვის 6 თვის შედეგებით;

12. ბიუჯეტის ხარჯვის 9 თვის შედეგებით;

ამჟამად მიმდინარეობს მიმდინარე წლის შედეგების გაანალიზება.

გარდა ამისა, მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებებსა თუ გამგებლის მიერ ცალკეული დავალებების შესაბამისად ჩატარდა ხუთი სხვადასხვა სახის შემოწმება, მათ შორის. საშეშე მერქნის, ამონიუმის გვარჯილის და უსახლკაროთათვის ბინების გაცემის კანონიერებასთან დაკავშირებით.

სულ 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდის ბიუჯეტით 11 პროექტი დაფინანსდა 2 631 660 ლარი, რაც შარშანდელთან შედარებით 296387 ლარით მეტია.

მოხდა ორი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია: ქ.საგარეჯოში და სოფელ ბადიაურში.

ქ. საგარეჯოში მოეწყო ასფალტის საფარი დოდაშვილის, ქეთევან წამებულის, წერეთლის, ქურდიანის და ჯანგულაშვილის ქუჩებზე, ასფალტის საფარი მოეწყო ასევე სოფელ შიბლიანში და დუზაგრამა - თულარის დამაკავშირებელ გზაზე.

სოფელ პატარა ჩაილურში მოეწყო სატუმბი რეზერვუარი და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარი.

სოფ.ხაშმში მოხდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

დაწყებულია ე.წ. ბურდიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 2016 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი იყო 1 082 163 ლარი. აღნიშნული თანხა მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე გადანაწილებული იყო მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე, სოფლებში ჩატარებულ კრებებზე მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

დაიგეგმა და ჩატარდა სხვა და სხვა სახის სამუშაოები, რომელთაგან 90 პროცენტი ამ დროისათვის უკვე დასრულებულია.

20 დეკემბრისათვის დასრულებულია 70 პროექტი, დასრულების ეტაპზეა ორი პროექტი.

2016 წელს, 20 დეკემბრის მონაცემებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვაში და სამუშაოებში გაიხარჯა 1 783 276.08 ლარი. აღნიშნული თანხიდან წყლის სისტემების რეაბილიტაციაში და მოვლა-პატრონობაში გაიხარჯა 508 175.60 ლარი

– დასუფთავების ღონისძიებებში 509 600 ლარი

– გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციაში 97 553 ლარი

– სანიაღვრე არხების აღდგენა რეაბილიტაციაში 9163.44 ლარი

– სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია 20 612 ლარი

– კეთილმოწყობაში 353 432.27 ლარი

– სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციაში 43 980.93 ლარი

– საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და რეაბილიტაციაში 219 376.1 ლარი

– მოეწყო კოსტავას ქუჩაზე ჭაბურღილი - 25 368,82 ლარი

– შეკეთდა შ. გზირიშვილის და ა. მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზები- 20 062ლ

– ჩატარდა იორმუღანლოს იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები 48 988,73 ლარი

– გადაიხურა კახეთის გზატკეცილზე მდებარე 13, 15 კორპუსები- 39 719,98 ლ

– სტიქიით დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების გადახურვაზე გაიხარჯა-65 834 ლ

– სოფ. უჯარმის ბაღის სახურავის გადახურვა - 11 796,93 ლ

– ქ. საგარეჯოში მიმდინარეობს ბაზრის მშენებლობა 196 266,88 ლ.

სამსახურის მიერ მოხდა 48 მშენებლობის ნებართვის გაცემა, საიდანაც მუნიციპალიტეტმა მოსაკრებლის სახით მიიღო 40776 ლარი.

რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებას, მოხდა სახელმწიფოსგან როგორც ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების გადმოცემის მოთხოვნა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება. ამჟამად დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 25 ერთეული უძრავი ქონება.

სამომავლოდ სამსახური ამზადებს ქონებას საპრივატიზაციოდ, აღნიშნული ქონების პრივატიზებისგანაც მუნიციპალიტეტი მიიღებს სარგებელს. პრივატიზებულია 4 ერთეული ქონება.

ხდება სტატისტიკის დამუშავება, ინფორმაციის მოძიება და ერთიანი ბაზის შექმნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული რთვლის შტაბთან ერთად ინფრასტრუქტურის სამსახური აქტიურად მუშაობდა და მონიტორინგს უწევდა რთველის მიმდინარეობას, მიუხედავად რიგი სირთულეებისა, რთველის მიმდინარეობა დადებითად შეფასდა. ასევე, სამსახურის მიერ მოხდა მოსახლეობისთვის აგრო და სახნავი ბარათების გადაცემა.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა მასშტაბური პროექტი, თოხლიაური - უდაბნოს 27 კილომეტრიანი წყლის მაგისტრალი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 4 700 000 ლარი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2017 წლისათვის მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს 4 178 921 ლარის ღირებულების პროექტები.

მომხსენებელი ასევე ვრცლად შეეხო გამგეობის ***კულტურის სამსახურის*** მიერ გაწეულ მუშაობას.

როგორც მან აღნიშნა კულტურის სამსახურის ბიუჯეტი 2016 წელს შეადგენდა 87 600 ლარს. მათ შორის: კულტურის კუთხით - 22 600 ლ. ახალგაზრდული ღონისძიებების - 30 000 ლ. სპორტული ღონისძიებების - 35 000 ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებას ***27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება*** და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ალტერნატიული ჯგუფი. მიმდინარე წელს დაფუძნდა სოფელ დუზაგრამის ქართულენოვანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. იგი მუშაობას შეუდგება 2017 წლის იანვრიდან. აქ სწავლება და საქმის წარმოება იქნება ქართულ ენაზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სუბსიდია გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2016 წელს სკოლამდელების გაერთიანება და-

<u>დასასრული მე-4 გვერდზე</u>

სოფლის მეურნეობა-2016

„დანერგე მომავალი“

გაშენდა მრავალწლიანი ხეხილის ბაღები

სახელმწიფო დაფინანსებით ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პროექტი „დანერგე მომავალი“ ითვალისწინებს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნას, მრავალწლიანი ხეხილის ბაღების გაშენების სტიმულირებას ფინანსური და ტექნიკური დახმარების ხელშეწყობით.

ჩვენს მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ათეულობით პროექტი, რომლის თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 916947 ლარი, ხოლო ფართობმა 258 ჰა.

2016 წელს უკვე გაშენდა ატმის, შავი ქლიავის, ნუშის, თხილის ნერგები.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურა-2016

წყალუზრუნველყოფილი გახდა 210 ჰექტარი

პროექტმა, რომლის ღირებულება 27 ათასი ლარია, წყალუზრუნველყოფილი გახადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კიდევ 210 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. 2016 წელს 1429 წყალმოსარგებლემ ისარგებლა სარწყავი წყლით და სულ

3362,87 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოირწყა.

„რთველი-2016“

2016 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეებმა 16820 ტონა ყურძენი მიიღეს, საიდანაც 10023 ტონა იყო რქაწითელი, 1256 ტონა – კახური მწვანე, 900 ტონა – სუფრის ყურძენი, 4516 ტონა – საფერავი, სხვა ჯიშები – 125 ტონა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

საგარეჯოს მუნიციპალიტრეტში რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი აქვს მინიჭებული 32 კოოპერატივს. აქედან 6 კოოპერატივი სარგებლობს მაღალმთიანი სოფლებისათვის 2016 **წელს** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი მოწონება და მადლიერება დაიმსახურა „მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტმა“, სახელმწიფომ მიწის მფლობელებს მიწის დარეგისტრირების პრობლემა უფასოდ მოუხსნა. მანამდე საქართველოში არსებული მიწის მხოლოდ 25% იყო დარეგისტრირებული – მთელი რიგი ბარიერების გამო. მიწის მფლობელებს აღნიშნული

ვის განკუთვნილი შეღავათებით.

„ალოობა-2016“

2016 წელს მუნიციპალიტეტის მემინდვრე-ფერმერებმა 15600 ტონა მარცვალი მიიღეს, აქედან 11500 ტონა ხორბალი და 4100

ტონა ქერი. ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავალმა 2,1 ტონა შეადგინა, ქერისამ – 2,3 ტონა.

თავთავიანების უხვი მოსავლიანობა სოფელ ვერხვიანში დაფიქსირდა.

მიწის დარეგისტრირება

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის

პროექტით საშუალება მიეცათ მამა-პაპეული თუ შეძენილი მიწების დარეგისტრირების, რომელიც საჯარო რეესტრმა მოაწესრიგა.

მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად

ადრეულ გაზაფხულზე 12050 სასოფლო-სამეურნეო ბარათი მიიღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცირემიწიანმა ფერმერებმა. აქედან ხვნის ბარათი – 8025 ცალი იყო, აგრობარათი – 4025. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 8 ათას ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი მოიხნა.

ინფრასტრუქტურა-2016

საუკუნის მშენებლობები

სასმელი წყალი

სოფელ უდაბნოს 235 აბონენტს ახალი სასმელი წყლის მაგისტრალიდან მიეწოდება წყალი. მაგისტრალი სოფელ თოხლიაურიდან უდაბნომდე 27კმ-ს მოიცავს. მისი მშენებლობა სახელმწიფო დაფინანსებით 4 მილიონ 369 ათასი ლარით მოხდა. მაგისტრალის მთლიანი სიგრძე (სოფელში უბნების მიხედვითაც) 37 კმ და 600 მეტრია.

სასმელი წყლით სოფლის 24 საათიანი მომარაგებისათვის აქ 2 ცალი ორიათასტონიანი ავზია. არის საქლორატორო, სამორიგეო, რომლებიც ერთ შენობაშია განთავსებული და მომსახურება აქ 24 საათიან მორიგეობას ითვალისწინებს. სასმელი წყლისათვის ორი სატუმბი სადგურია. ერთი ე.წ. „ყორუღთან“ და მეორე ე.წ. „კოდასთან“, სადაც დამონტაჟებულია ახალი სატუმბი აგრეგატები.

ახალი სასკოლო შენობა

2016 წლის 13 ოქტომბერს ლამბალოში საჯარო სკოლის ახალი შენობა გაიხსნა. შენობა სამსართულიანია, სადაც 43 საკლასო ოთახია განთავსებული. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა, სპორტული და საკომუნიკაციო დარბაზები (დამხმარე სათავსოებით), ექიმის კაბინეტი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები (3 ოთახი), ბიბლიოთეკა, სასადილო, ღია სპორტული მოედანი 300 მ2 ფართით და რაც ყველაზე თანამედროვეა, სკოლა არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. არის პანდუსები, აქვთ ლიფტი, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. სკოლაში 1100 მოსაწავლე ორ სექტორზე სწავლობს – აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე. ქართულ სექტორზე 260 მოსწავლეა, აქ 25 პედაგოგია დაკავებული მათი სწავლებით. მათი საერთო რაოდენობა კი 75-ია. სკოლაში 48 საფინანსო კლასია.

შენობა კავკასიის ქვეყნების მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და დიდკონტიგენტიანია. მის მშენებლობაზე 4 მილიონ 344000 ლარი გაიხარჯა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

მოისმინეს ანგარიშები

<u>დასასრული</u>

ფინანსებულია 1 354 ბავშვზე; სუფსიდია 1 720 500 ლარი: აქედან კვებისთვის 519 936 ლარი (დღიური ნორმა 2.00 ლარი.), ხელფასისათვის 1 047 744 ლარი, ოფისისათვის 147 839 ლარი, მივლინება 4 400 ლარი, მომსახურებისთვის 1380 ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდიის ფარგლებში საბავშვო ბაღებში შეიძინეს სხვადასხვა სახის ინვენტარი, კერძოდ: საბავშვო მაგიდები და სკამები, მაცივრები, პიანინო, ახლად გარემონტებული ბაღებისათვის შეიძინეს სხვადასხვა სახის ავეჯი.

მიმდინარე წელს ***რეგიონული განვითარების ფონდიდან*** კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და მოეწყო ცენტრალური გათბობა საგარეჯოს და ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებში; ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარეობს მანავის ე.წ. „ბურდიანის“ დასახლებაში №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კაპიტალური რემონტი.

ყველა გაზიფიცირებულ ბაღში მოეწყო დამატებითი წერტილები და დამონტაჟდა გაზის გამათბობლები.

ახალგაზრდული ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენდა 30 000 ლარს. ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი იყო 10 000, გახარჯულია 4 266 ლარი. გეგმიური ღონისძიებები დაფინანსებული იყო 20 000 ლარით. I ტენდერი - 7 539,83თ, II ტენდერი - 5 388,15თ, ნატვრის ხის პრემია - 600 ლარი, შშმ პირთა ფესტივალი ბორჯომში - 1 700 ლარი, ეტალონის დაფინანსება - 2 960ლარი, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული წიგნები - 781,20თ.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ადამიანი გაჭირვებაში“ (ინგ. “People in Need”) ამ ორგანიზაციასთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების პროექტი, აღნიშნული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს, თერჯოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, როგორიცაა, ახალგაზრდების სოციალური ანგარიშვალდებულების კვლევა, ტრენინგები, ახალგაზრდული ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაიწერა მუნიციპალური ახალგაზრდული სამოქმედო გეგმა კულტურის სამსახურის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით.

– აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში დაიხარჯა 70000 ლარი, პროექტი სრულად დაფინანსდა მსოფლიო ბანკისგან. **სამოქმედო გეგმის მიხედვით,** 12 სოფელში (გიორგიწმინდა, გომბორი, კოჭბანი, უჯარმა, ხაშმი, იორმუღანლო, შიბლიანი, კაკაბეთი, მზისგული, მანავი, ვერხვიანი, უდაბნო) შეიქმნა ახალგაზრდული კლუბები – აღჭურვილი შესაბამისი საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით.

– ქ. საგარეჯოსა და 19 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გომბორი, უჯარმა, პატარა ჩაილური, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა, ყანდაურა) გადაეცა სპორტული ინვენტარი.

– ქ. საგარეჯოსა და 12 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, გომბორი, უჯარმა, კოჭბანი, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმუღანლო, უდაბნო) გადაეცა მუსიკალური ინვენტარი.

ახალგაზრდული ღონისძიებები - წლის დასაწყისში დაგეგმილი იყო 23 ღონისძიება. განხორციელებულია 20 და 3 ღონისძიება ჩატარდება წლის ბოლომდე.

მომხსენებელმა ანგარიშის წარდგენის შემდეგ უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად ეხებოდა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს.

საკრებულომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის მიერ 2016 წელს გაწეული მუსაობა შეაფასა დამაკამაყოფილებლად.

საკრებულოს წევრებმა სხდომაზე მოისმინეს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის*** **პახაბერ მარგებაძის,** ***ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის*** **ანა ნარიმანიშვილის,** ***შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის*** **ზურაბ კავთუაშვილის,** ***ზედამხედველობის სამსახურის უფროსის*** **ზურაბ ივანელაშვილის,** ***განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის*** **არჩილ ჯაბადარის** 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

გამგეობის სამსახურების უფროსების მიერ წარდგენილი ანგარიშის შესახებ დაისვა მთელი რიგი კითხვები. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია 2016 წლამდე შესრულებულმა იმ ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა, რომელთა შესრულებამ თითქოს ცალკეული სოფლების მოსახლეობას არავითარი სარგებელი არ მისცა. დასმულ შეკითხვებს კონკრეტული და დამაკმაყოფილებელი პასუხები გაეცა გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელთა მხრიდან.

საკრებულომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა გამგეობის სამსახურების უფროსების და ამ სამსახურების თანამშრომელთა მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობა.

სხდომას ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ცისმარ თედიაშვილი.**

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

27 დეკემბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირის მონაწილეებმა ვრცლად მიმოიხილეს ცალკეულ სოფლებში შექმნილი ისეთი პრობლემები, რომლებიც ოპტმალურ ვადებში მოგვარებას მოითხოვს. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად კონკრეტული დავალებები მიეცა შპს „საგარეჯოს“.

როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, მიმდინარე წლის სექტემბრიდან მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება მიწის საკუთრებაში დარეგისტრირების საქმეში. ამასთან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი დაინტერესება გამოიწვია ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მთელი რგი კულტურების გაშენების საქმეში სახელმწიფოს მიერ დასახულმა რიგმა პროგრამებმა.

თათბირზე, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა განაცხადა, დედოფლისწყაროში შეიქმნა მეთესლეობის ცენტრი. იმის გამო, რომ საქართველოში სტრატეგიულ კულტურად ხორბალია აღიარებული და ამასთან საქართველოში წარმოებული ხორბლით კმაყოფილდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობს 10%, დედოფლისწყაროს მსგავსად მთელ რიგ რაიონებში შეიქმნება მეთესლეობის ცენტრები. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს და შემუშავებული პროგრამებით დაეხმარება აღნიშნული პროფილით მომუშავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. მეთესლეობის ცენტრები მომავალში აწარმოებენ მარცვლეული კულტურების ყველა სახეობის თესლს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მემინდვრეობის განვითარებას.

თათბირზე დაწვრილებთ განიხილეს მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცესების მიმდინარეობა.

თათბირის დასასრულს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა*** **გიორგი გზირიშვილმა** მადლობა გადაუხადა მუნიციპალტეტის გამგებლის წარმომადგენლებს 2016 წელს გაწეული მუშაობისათვის და გამოთქვა რწმენა – ახალი წლიდან კვლავაც ერთად დგომით, მიზანმიმართული საქმიანობით წარმატებით განახორციელებენ სოფლის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს, ერთად იზრუნებენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.

ინფრასტრუქტურა-2016

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვიზრუნოთ ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე

ჯანმრთელობის მსოფლიო ანსამბლეის 2001 წლის 54.19 რეზოლუციის შესაბამისად, გლობალურად ხორციელდება ბავშვთა მოსახლეობის დეჰელმინთიზაცია. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში საქართველოში მოხდა 5-9 წლის ბავშვებში გეოჰელმინთებით დაინვაზირების შესწავლა. შესწავლით გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ჰელმინთით საშუალოდ ინვაზირებულია ბავშვთა 30%. აქედან გამომდინარე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ქვეყნების რეგიონული ბიუროს მხარდაჭერით დაიგეგმა ჩვენი ქვეყნის 5-9 წლის საკის ბავშვთა კონტიგენტის დეჰელმითიზაცია.ეს ასაკობრივი ჯგუფი ზოგადად მიჩნეულია ყველაზე მოწყვლადად ჰელმინთების გავრცელების თვალსაზრისით.

ჯანმოს მიერ 2016 წლის პერიოდზე ჰუმანიტარული დახმარების სახით საქართველოს გადმოეცა პრეპარატი „ვერმოქსი“(მებენდაზოლი).ვერმოქსის (მებენდაზოლი) 500 მგ. ერთჯერადად პერორალურად მიღება პროფილაქტიკური დეჰელმინთიზაციისთვის მსოფლიოში გამოცდილი უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა.

.დეჰელმინთიზაციის პროცესის ჩატარება რაიონებში დაევალა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ აღნიშნულ დაავადებას, მის გამომწვევ მიზეზებს, გავლენას ბავშვის განვითარებაზე, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და იმ მუშაობას, რაც ამ კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში გაკეთდა.

ჰელმინთოზები - დაავადებათა ჯგუფია, რომლის გამომწვევია პარაზიტული ჭიები - ჰელმინთები.

მსოფლიოში გავრცელებულია 250 სახეობის ადამიანის პარაზიტული ჭიები,მათგან 20 საქართველოსთვის ენდემურია. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ენტერობიუსი, ასკარიდოზი, ტრიქოცეფალოზი.

ადამიანის ინვაზირების (დასნებოვნება) გზებია: საყოფაცხოვრება-კონტაქტური (დაუბანელი ხელების საშუალებით), საკვებით (გაურეცხავი ბოსტნეული,ხილი,მწვანილი, არასათანადოდ თერმულად დამუშავებული ხორცისა და ხორცპროდუქტების საკვებად მიღება) და წყლით (დაბინძურებული წყალსატევებიდან და სხვა წყლის რეზერვუარებიდან წყალის დალევა).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში მხოლოდ ასკარიდოზით ყოველწლიურად ავადდება 1,2 მილიარდი ადამიანი და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბავშვებია.

– როგორ შეიძლება დაავადდეს ბავშვი პარაზიტული ჭიებით?

– ინვაზირება (დასნებოვნება) ხორციელდება ბავშვის ორგანიზმში ჭიის კვერცხის ან ლარვის მოხვედრით. ჭიის კვერცხები გარემოში ხვდებიან ინვაზირებული ადამიანის ან ცხოველის განავალთან ერთად. კვერცხებს აქვთ მიკროსკოპული ზომა, მასპინძელი ოგანიზმის გარეთ გამოირჩევიან ცვალებადი გარემო პირობებისადმი მდგრადობით და დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას. კვერცხები უმეტესად გვხვდება: ნიადაგში, სხვადასხვა საგნებისა და პროდუქტების ზედაპირზე, თეთრეულის ნაკეცებში, ადამიანის კანზე.

ბავშვის პირის ღრუში მოხვედრისას ჭიის კვერცხები გადიან საჭმლის მომნელებელ სისტემას, სადაც კუჭის წვენის (მჟავე გარემო) ზემოქმედების შედეგად განიცდიან ნაწილობრივ რღვევას, ხოლო ნაწლავებში მოხვედრისას, სადაც გარემო ხელსაყრელია კვერცხის შემდგომი განვითარებისათვის ხდება მათი გააქტიურება. მცირეწლოვანი ბავშვები, რომელთაც არა აქვთ სრულყოფილი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სრულყოფილი დამცავი ბარიერი განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ჰელმინთების მიმართ.

– რა ზიანის მოაქვთ ბავშვის ორგანიზმისათვის პარაზიტებს?

– ორგანიზმში პარაზიტების მოხვედრისას ხდემა მისი ინტოქსიკაცია ანუ პარაზიტების ცხოველქმედების შედეგად გამოყოფილი პროდუქტებით მოწამვლა. ჭიები შთანთქავენ ორგანიზმის უჯრედებისათვის საჭირო ვიტამინებს და მინერალებს, რის გამოც ბავშვი სწრაფად იღლება, უქვეითდება (იშვიათად უძლიერდება) მადა, აქვს მუდმივი თავის ტკივილები. ბავშვებს უფერხდებათ გონებრივი და ფიზიკური განვითარება. ბავშვებს უვითარდებად დისბაქტერიოზი, რომელიც ვლინდება ისეთ სიმპტომებში, როგორიცაა: მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ყაბზობა, გულისრევა, ალერგენების მიმართ მაღალი მგრძნობელობა. ორგანიზმში პარაზიტების არსებობა მნიშვნელოვნად აქვეითებს იმუნიტეტს და ამცირებს სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგო აცრების ეფექტურობას.

საპროფილაქტიკო ღონისძიებები

• ბავშვებს უნდა გამოვუმუშავოთ უნარჩვევები, როგორიცაა ჭამის წინ, ქუჩიდან სახლში შესვლისას და საპირფარეშოდან გამოსვლისას ხელების საპნით კარგად დაბანა;

• აუცილებელია ხილი და ბოსტნეული საკვებად გამოყენებამდე სათანადოდ გაირეცხოს, ხოლო ხორცი და თევზეული დამუშავდეს თერმულად;

• ასწავლეთ, რომ არ დალიონ უხარისხო ან საეჭვო წყალი;

• ბავშვის სათამაშოები პერიოდულად უნდა გაირეცხოს საპნით, ხოლო ქუჩიდან შემოტანილი ყოველთვის;

• მაქსიმალურად შეიზღუდოს ბავშვის (და მისი სათამაშოების) კონტაქტი ცხოველებთან (ძაღლები, კატები);

• სახლში შინაური ცხოველის ყოლისას აუცილებელია მისი სათანადო მოვლა და ვეტერინართან პერიოდული შემოწმება და სხვა.

ჰელმინთოზებთან ბრძოლის სტრატეგიაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით მედიკამენტოზური პროფილაქტიკა არის ყველაზე ხელმისაწვდომი, ეკონომიურად ეფექტური და ხანმოკლე დროში განსახორციელებლი ღონისძიება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 5-9 წლის ჩათვლით აღრიცხულია 3700 ბავშვი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ოქტომბრიდან გაკეთდა გეგმა-გრაფიკი აღნიშნული კონტიგენტის მოცვის თვალსაზრისით.გასვლა მოხდა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.ამ ეტაპზე ვერმოქსი დაურიგდა ძირითადად სასკოლო ასაკის ბავშვებს.საჭიროების შემთხვევაში ცენტრის პარაზიტოლოგიური ლაბორატორიის მიერ ჩატარდა ინვაზირებაზე 267 მიკროსკოპული კვლევა. დღეისათვის მედიკამენტი გაცემულია 2400 ბავშვზე.აღნიშნული სამუშაობის ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია რესურს ცენტრმა,სკოლის დირექტორებმა,სოფლის ექიმებმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

დეჰელმინთიზაცია მაშინ არის ეფექტური, როდესაც მოწყვლადი კონტიგენტი მოცულია არანაკლებ 75%-ისა. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5-9 წლის ბავშვთა 65%-ს უკვე მიეცა ვერმოქსი.შემდგომ ეტაპზე მედიკამენტის გაცემა დაგეგმილი გვაქვს ძირითადად ხუთწლიან ბავშვებზე. სამუშაოების შესრულებას ვგეგმავთ საბავშვო ბაღებში.

ვერმოქსის გაცემა ხდება აუცილებლად მშობლის ან მეურვის თანდასწრებით. ამიტომ მინდა მშობლებს ვთხოვო მეტი აქტიურობა და გულისხმიერება გამოიჩინონ მათი შვილების ჯანმრთელობისათვის დაგეგმილი კამპანიის მიმართ.

ლელა ოთარაშვილი,

აიპ „საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

განათლება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 28 სკოლიდან 26 საჯაროა და 2 კერძო.

2016 წლის 15 სექტემბრიდან სწავლას 9455 მოსწავლე შეუდგა, მათგან 698 პირველკლასელი და 403 მეთორმეტეკლასელი. პედაგოგთა საერთო რაოდენობა 853-ია, მათ შორის სერტიფიცირებულია 214 მასწავლებელი.

2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის ოთხ საჯარო (იორმუღანლოს, ლამბალოს, საგარეჯოს №1 და №4) სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას მანდატურის სამსახური შეუდგა.

საგარეჯოს №1, 4, გიორგიწმინდის,მანავის საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტები და სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვას კვალიფიციურიი ექიმები ემსახურებიან.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელებს და მათ პედაგოგებს გადაეცათ კომპიუტერები.

სკოლები აღიჭურვა ახალი მერხებითა და სკამებით.

მოსწავლეებს უფასოდ გადაეცათ სახელმძღვანელოები. მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში. საჯარო სკოლის 24 მოსწავლეს 9 კლასის წარმატებით დამთავრებისთვის გადაეცათ ლეპტოპები. ნახევრად სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა თოხლიაურის,მანავის,ბადიაურის, გომბორისა და საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის შენობებს.

ახალი სასწავლო კორპუსი მიუშენდა იორმუღანლოს საჯარო სკოლის შენობას.

ლამბალოში აშენდა საჯარო სკოლის ახალი შენობა.

სკოლამდელი აღზრდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 27 სკოლამდელი არზრდის დაწესებულება და სკოლამდელი აღზრდის დაწეესებულების 2 ალტერნატიული ჯგუფი. ახლახანს დაფუძნდა დუზაგრამის ქართულენოვანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც მუშაობას 2017 წლის 1 იანვრიდან შეუდგება.

ახალ, 2016-2017 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 1354 აღსაზრდელი შეუდგა სწავლას. მათ სწავლა-აღზრდას 334 თანამშრომელი ემსახურება.

2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და მოეწყო ცენტრალური გათბობა საგარეჯოს №3 და ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით მიმდინარეობს მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კაპიტალური რემონტი.

შეძენილია სხვადასხვა სახის ინვენტარი – საბავშვო მაგიდები, სკამები, მაცივრები, პიანინო, ახლადგარემონტებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის შეძენილია სხვადასხვა სახის ავეჯი.



საგარეჯოს №4, დიდი ჩაილურის, ყანდაურის, გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ეზოები აღიჭურვა ეზოს სათამაშო-გასართობებით.

ყველა გაზიფიცირებულ სკოლამდელი აღზრდის დაწეესებულებაში მოეწყო დამატებითი წერტილები და დამონტაჟდა გაზის გამათბობლები.

კულტურა-2016

2016 წელი კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნებით გამორჩეული და შემოქმედებითი წარმატებების წელი იყო. მუნიციპალიტეტში ჩატარებულ კულტსაგანმანათლებლო ღონისძიებებში ადგილობრივ შემოქმედებით ადამიანებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

გაიმართა მხატვრული ნამუშევრების, ხალხური რეწვის გამოფენები. წარმოდგენილი იქნა სპექტაკლები, ჩატარდა ტურნირები და შეჯიბრებები, სახალხო დღესასწაულები, მოეწყო საქველმოქმედო ღონისძიებები, ღია ცის ქვეშ გაიმართა კონცერტები. კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას დებულობდნენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალებში.

მუნიციპალიტეტის სოფლებში: კაკაბეთში, უდაბნოში, კოჭბანში, თოხლიაურსა და ბადიაურში ფუნქციონირებს სასოფლო კლუბები. თოხლიაურში ჩატარებულ კაფე-საღამოზე კლუბთან არსებულ ცეკვისა და სიმღერის გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ყანდაურიდან მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა.

კოჭბანის სასოფლო კლუბის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში კოჭბანის თემის ახალგაზრდა, წარჩინებულ მანდილოსნებთან ერთად მრავალშვილიანი დედებიც მონაწილეობდნენ.

ბადიაურის სასოფლო კლუბში ჩატარებულ შემოქმედებით საღამოში ბადიაურელებთან ერთად სოფლების: მზისგულის, ყანდაურის ახალგაზრდა ქალებიც მონაწილეობდნენ.

სოფელ პატარძეულში გაიმართა სახალხო ზეიმი „გოგლაობა“, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“, ქალთა სახალხო ანსამბლი „ჩინარი“, საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ვანო მჭედლიშვილის სახელობის ქართული ხალხური გალობისა და სიმღერის სახელოსნოს გუნდი, ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები.

ხაშმში გამართულ რეზო ინანიშვილის ხსოვნის საღამოს მისი თანასოფლელები, მეგობრები, ოჯახის წევრები, პოეტები და მწერლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაში რეზო ინანიშვილის სახელობის №159 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად სოფელ პატარძეულის ფრანგულენოვანი სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები და ლიტერატურულ კლუბ „ნეკერჩხალის“ გუნდიც მონაწილეობდა.

კოჭბანში გამართულ სახალხო დღესასწაულში „ვაჟაობა“ მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

სოფელ უდაბნოში გამართულ სახალხო დღესასწაულში „აქ მთელი საქართველოა“, მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლებიც.

გაზაფხულზე ქ. საგარეჯოს კულტურის სახლში საანგარიშო კონცერტით მაყურებლის წინაშე წარსდგა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი თინათინ მეზვრიშვილი, ქორეოგრაფები ფიქრია ჩეკურიშვილი და გია კუჭუაშვილი). ამავე კონცერტებში მონაწილეობდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ვანო მჭედლიშვილის სახელობის ქართული ხალხური გალობისა და სიმღერის სახელოსნოს გუნდი (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), სტუდია „მირელა“ (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი), ირინა ბაირამაშვილისა და თეა ხატიაშვილის ვოკალური სტუდიის მოსწავლეები.

ზაფხულში ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ანსამბლი „იმედი“ ბულგარეთში გაემგზავრა საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

სტუდია „მირელას“ მოსწავლეებმა საანგარიშო კონცერტი გამართეს თბილისის მაგთი კლუბში.

თბილისში გამართულ „არტ-ფესტის“ ფარგლებში გამართულ მუსიკალურ ფესტივალში სტუდია „მირელა“ მონაწილეობდა, სადაც საუკეთესო მონაწილეების წარდგენისთვის სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა სტუდიის ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი, ხოლო პირველ ადგილზე გასული მოსწავლე მარიამ საგინაშვილი ბულგარეთში საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად არტ-ფესტის“ ორგანიზატორთა დაფინანსებით გაემგზავრება და იქ საქართველოს სახელით წარსდგება. შეხვედრაზე გამარჯვებულ „მირელას“ კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელის და გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის მიერ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

გაგრძელდა ათეული წლობით არსებული ტრადიცია და საგარეჯოს მცირე საკონცერტო დარბაზში საგარეჯოს სახალხო ანსამბლი „ჩინარი“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი) კვლავ შეხვდა თავის მსმენელს და ამჯერად შეხვედრა „მეგობრები გველიან“ თელავის ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „წინანდალთან“ ერთად შედგა.

მუსიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მუსიკალურ ფესტივალში „ლამაზი სიმღერა 2016“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ფრანგული კულტურის პოპულარიზაციას, საგარეჯოს კულტურის სახლმა ამ დღეს შემოქმედ ადამიანებთან ერთად საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშეს, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორს, თბილისის ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კახეთში ბურგუნდიის ურთიერთობის წარმომადგენელს უმასპინძლა. მასში თბილისის №118, თელავის №4, 5 და 7 საჯარო სკოლების, პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი, გურჯაანის №1 საჯარო სკოლა, საგარეჯოს ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, სტუდია ს.თ.ი. ვოიცე“, ანსამბლი „პატარა გარეჯელები“, სტუდია „მირელა“, საგარეჯოელი ახალგაზრდა მომღერლები სალომე ქოქიაური და მაგდა ივანიშვილი მონაწილეობდნენ.

საგარეჯოს სახალხო თეატრის სამმა მსახიობმა პაატა ქვლივიძემ, მიხეილ ხოკერაშვილმა და ირაკლი ლიპარტელიანმა თეატრის რეჟისორის ნიკოლოზ საბაშვილის სპექტაკლის „მე, შენ, ის“ პრემიერა ქალაქ კაუნასის (ლიტვის რესპუბლიკა) მაყურებელს წარუდგინეს. მათ სპექტაკლი ლიტვის ორი სხვადასხვა ქალაქის მაყურებელსაც უჩვენეს.

სპექტაკლ „კლოუნადას“ (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ნიკა საბაშვილი) საპრემიერო ჩვენებას საგარეჯოელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა. სპექტაკლი საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალზე „მარნეული 2016“ იქნა წარდგენილი, სადაც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობები.

საგარეჯოს თოჯინების თეატრის მსახიობებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მოაწყეს გასვლითი ღონისძიებები. დიდი ინტერესით შეხვდნენ მათ უჯარმის, ბადიაურის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. მათ შეზღუდული შესაძლებლობების პატარებსაც უმასპინძლეს.

საგარეჯოს კულტურის სახლის სცენაზე სხვადასხვა შემოქმედებითმა კოლექტივებმაც სხვადასხვა დროს წარმოადგინეს სპექტაკლები. აქ დაიდგა სპექტაკლი „ბროლის ანგელოზები“, რომელშიც მოზარდებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებიც მონაწილეობდნენ. სპექტაკლი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ პროგრამის დაფინანსებით ჩატარდა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა საგარეჯოს კულტურის სახლში წარმოადგინა რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლი „აურზაური არაფრის გამო“. გაზაფხულზე ასევე მათ წარმოადგინეს დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლი „არ დამივიწყო“.

ოქტომბერში ლიტვის ქალაქ კაუნასის სახალხო თეატრმა საგარეჯოში გასტროლებზე წარმოადგინა სპექტაკლი „ზღაპარი ცხვარზე“.

კონცერტებით და აქტიური მონაწილეობით აღინიშნა სხვადასხვა დღესასწაულები: ბავშვთა საერთაშორისო დღე, 9 მაისი, 26 მაისი.

საგარეჯოს კულტურის სახლში ჩატარებულ კონკურსში „ფერიების მეჯლისი“ საგარეჯოელი პატარები მონაწილეობდნენ. კონკურსის ორგანიზატორი საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი ნათელა დიღმელაშვილი იყო.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი) განყოფილებებში. აქ საინტერესოდ წარმოადგინეს ღონისძიებები საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეათე და მეექვსე კლასელებმა. მათ ეს ღონისძიება შოთა რუსთაველის საიუბილეო წელს მიუძღვნეს. აქ მოსწავლეებს და მათ პედაგოგ მარინა ნარიმანიშვილს მხარდაჭერა ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სპეციალისტმა მარიამ თედიაშვილმა გაუწიათ.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერლის, პოეტის, კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საინტერესოდ გააცოცხლეს გოდერძი ჩოხელის ცხოვრება, შემოქმედება. ღონისძიებას, რომელიც პედაგოგ ნელი ქაიხოსროშვილის ორგანიზებით ჩატარდა, მხარდაჭერა საგარეჯოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გაუწია.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში საინტერესოდ წარიმართა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც საგარეჯოს №1 და №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა საბავშვო განყოფილების მხარდაჭერით საგარეჯოელი პედაგოგისა და საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობის ნანული ბილანიშვილის მიერ წარმოდგენილმა, მისივე ინსცენირებულმა ღონისძიებამ „იაკობი“.

პროგრამის „საქართველოს მოხალისეს“ ფარგლებში საგარეჯოს კულტურის სახლის ეზოში „ლიტერატურული სკვერის“ გახსნას ხალისითა და ინტერესით შეხვდა საგარეჯოელი ახალგაზრდობა. მისი მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება ლიტერატურით, ბიბლიოთეკების, წიგნების პოპულარიზაცია და ახალგაზრდებში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარება. ამ ღონისძიებაზე საგარეჯოელმა ახალგაზრდა პოეტმა გურამ სამუნაშვილმა მოწვეულ სტუმრებს თავისი ახალი ლექსები გააცნო.

დამთვალიერებლის მოწონება დაიმსახურა საგარეჯოელი მხატვრების თამარ იორამაშვილისა და ალექსანდრე ასლანიშვილის ნახატების გამოფენამ.

საგარეჯოს კულტურის სახლის სცენაზე გაიმართა საქველმოქმედო კონცერტები, საიდანაც შემოსული თანხა საგარეჯოელი 22 წლის ახალგაზრდა გიორგი პაპუნაშვილისა და უჯარმელი ანი ღრუბელაშვილის სამკურნალოდ მათ ოჯახებს გადაეცათ.

2016 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გახდა საგარეჯოს კულტურის სახლი – შენობაში მოეწყო სპეციალური პანდუსი, შენობა აღიჭურვა ყველა საჭირო მოწყობილობით და დეტალებით, შეიქმნა ყველა ის პირობა, რაც ასეთ პირებს ნორმალური გადაადგილების საშუალებას მისცემს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, კულტურული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საგარეჯოს კულტურის სახლს – პირველ სართულზე მოეწყო სახელოსნო ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნება დეკორაციების, თოჯინების და სხვა მრავალი საქმიანობის შესრულება. გაილესა და შეილესა შენობის II სართულზე დერეფანი, მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა, შენობის მთავარ შესასვლელში გაკეთდა სალარო, რომელიც აღარ არსებობდა აქ სამხატვრო-სახელოვნებო სკოლის გახსნის შემდეგ.

პატარძეულში მიმდინარეობს გოგლა ლეონიძის სახელობის სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოები.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ შესანიშნავ, გულისხმიერ და თბილ ქალბატონს, აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ მთავარ ბუღალტერს **ციალა დარბისპანაშვილს**. დაე, მრავალი სიხარული მოეტანოს მისთვის 2017 წელს!

თანამშრომლები

მოსაგონარი

ნიკა ბეჭანიშვილი (მალაკანა)



8 თვე გავიდა იმ დიდი ტკივილიდან, რაც შენი ამქვეყნიდან გასვლით მივიღეთ, ჩვენო ნიკა.

მნიშვნელობა არა აქვს დროის სრბოლას – რამ უნდა დაგვავიწყოს შეგრძნება, რომელიც შენი დაღუპვით გამოწვეული სტრესით დაგვეუფლა. ჩვენს ცხოვრებაში ის ყველაზე საშინელი დღე, საათი და წუთი იყო. ყველა იმ დღეს – ნათესავები, მთელი საგარეჯო თბილისის საავადმყოფოში მოვიდნენ და ჩვენს დიდ მწუხარებას იზიარებდნენ.

ყოველდღე გიხსენებთ სიყვარულით, გაკვირვებით, მონატრებით. ვერ ვხვდებით – განა რა დავაშავეთ ასეთი, რომ შენი სიკვდილით დავისაჯეთ? არავისი არაფერი გვშურს, შვილო, თუ ვინმეს რამე უჭირს, თუ გვაქვს საშუალება, შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, ჩვენი მადაზიიდან ყველანაირ შეღავათებს ვუკეთებთ გაჭირვებულ ადამიანებს. ეს მადლი რატომ ღმერთმა არ დაინახა, რომ იმ ხუთი ბიჭებიდან ჩემი ნიკაც გადაერჩინა და ცოცხალი მყოლოდა?! გინდაც ხელი ან ფეხი არ გქონოდა, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო გულის ტკივილო, ნიკა! მოდის შვილო, ახალი წელი. ნეტა არ მდიოდეს, დიდია გულის ტკივილი – შარშან ამ დროს ცოცხალი იყავი ნიკა, პაპასთან შენი ამხანაგები მოიყვანე და ისე იმხიარულეთ, რომ ჩვენი სახლის კედლებიც კი გაათბეთ და გაამხიარულეთ თქვენი სიყვარულით.

ვინ უნდა გაგვახმიანოს ჩვენო საყვარელო ბიჭო, ნიკა, თოფი ვინ უნდა გაისროლოს, ვინ უნდა შეეგებოს ახალ წელს, ვინ აგვაფორიაქოს სიცოცხლის სიყვარულით? დადუმდა ჩვენი სახლი, ჩვენი ეზო, შენი მშობლები, ბაბო თუ პაპა სიკვდილთან ვართ გათანაბრებული. შვილო, გამოვიჩენ იმ ძალას, რომ მოვალ შენს საფლავზე, მოგილოცავ ახალ წელს და გადღეგრძელებ!

ცოცხლად გაგიმარჯოს ჩემი გულის ტკივილო, ნიკა, „მალაკან“.

გეგია

ანგელინა ბეჭანიშვილი-ზორაძაშვილი

რობა როსტიაშვილი

მონატრება, საშინელი მონატრება
მიღრღნის გულს და ჭკუას მაცლის,
გონება მაქვს მთლად დახშული.
ვდგევარ შვილო შენს ეზოში,
უბედური დედის როლში.
ვიყურები აქეთ-იქით და
ვერ გხედავ, ვერ გპოულობ,
მინდა ისევ დამიძახო,
მოირბინო, ჩამეხუტო.
მაგრამ როგორ გამექეცი
და დამტოვე მარტო,
დედად მიწა, ოჯახად კი
სხვა ქვეყანა აირჩიე!..



ვზივარ და შენ გესაუბრები. ვდგავარ და შენს გზას გავყურებ. მძინავს და ძილში დაგეძებ, მაგრამ მაინც ვერ გპოულობ, ვერ ვახერხებ შენთან მოსვლას და ჩახუტებას. შენ, დედას საშინელო ტკივილო და სიმწარევ, როგორ მენატრები და როგორ მეწვის გული, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო შვილო, რობა. ამ სიმწარეში და ტკივილიან დღეებში დრო გარბის. მალე მესამე ახალი წელი მოვა უშენოდ. სამმა წელმა სწრაფად გაირბინა, ამ დრომ ჩემს გულს საშინელი ტანჯვა დაატყო. როგორ მეწვის გული და როგორ მენატრები. მინდა ისევ ჩემთან იყო და ერთად ვემზადებოდეთ ახალი წლისთვის. მინდა ისევ ვხედავდე შენს იშვიათად გაღიმებულ სახეს, ჩემო საყვარელო შვილო. როგორ მინდა და ველოდები – ყოველ საღამოს გაიღოს კარი და შემოხვიდე, რათა ისევ შეივსოს ჩვენი ოჯახი და მეც ხან გახარებულმა და ხან გაბრაზებულმა ამაყად გადავავლო თვალი ოჯახის ყველა წევრს... მაგრამ ვიცი, ასე აღარ მოხდება, შვილო. შენ აღარ მოხვალ. მე – ზედმეტი ემოციებით საშინლად დატანჯულს ძილღვიძილისა და ყველანაირი ცხოვრების წესის მოშლით ვაი-უბედურებით ვცოცხლობ, თუკი ამას სიცოცხლე ჰქვია. როგორ მწარეა ეს ყოფა ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, უფლის წინაშე უძლური ვარ. დრო კი მიდის თავისი დინებით. მახარებს დროის სწრაფი დინება, რადგან ჩვენი, დედა-შვილის შეხვედრის დრო მცირდება და მალე მოვა ის დრო, როცა ჩვენ ისევ სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

მესამე ახალი წელი მოვიდა უშენოდ. მინდა მოგილოცო ახალი წელი. ნათელში იყოს შენი კეთილი სული ჩემო გიჟმაჟო, ჩემო უყისმათო და სიცოცხლით გაუხარელო, შვილო, რობა.

დედა

მანანა ქოქიაური-როსტიაშვილი

სპორტი-2016

მაღალი სპორტული შედეგების წელი

2016 წელი გარეჯული სპორტის ისტორიაში ახალი წარმატებების წლად შევიდა, რაც განპირობებულია იმ მაღალი შედეგებით, რასაც გარეჯელმა სპორტსმენებმა მსოფლიოს, ევროპის, საერთაშორისო თუ საქართველოს მასშტაბით გამართულ ასპარეზობებზე მიაღწიეს. ეს წარმატებები შედეგია იმ დიდი და დაუღალავი შრომისა, რასაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექცია (დირექტორი გია მაისურაძე, მენეჯერი ტარიელ როსტომაშვილი), მისი მწვრთნელ-მასწავლებლები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით წლების მანძილზე ეწევიან გარეჯული სპორტული კადრებისა და ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდისათვის.

2016 წელს სპორტული გაერთიანება თავის რიგებში აერთიანებდა 810-მდე სხვადასხვა ასაკის დამწყებ თუ მოზარდ სპორტსმენს, რომლებიც 52 მწვრთნელი მასწავლებლის ხელმძღვანელობით მათთვის სასურველ სექციებში: ქართული, ძიუდოს, სამბოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, რაგბის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, ტაეკვანდოს, კრივის, კარატეს საიდუმლოებებს ეუფლებოდნენ. კერძოდ, გაერთიანებას მუნიციპალიტეტში გახსნილი აქვს ძიუდოს 19, თავისუფალი ჭიდაობის – 3, ქართული ჭიდაობის – 2, კლასიკური ჭიდაობის – 1, ჭადრაკის – 3, ფეხბურთის – 5, რაგბის – 3, კრივის – 1, კარატეს, ტაეკვანდოსა და კალათბურთის თითო, და ერთი ქალთა ძიუდოს წრეები. ფუნქციონირებენ რაგბისა და ფეხბურთის კლუბები.

სულ მთლიანობაში მუნიციპალიტეტის სპორტსმენებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა დონის 198 შეჯიბრებაში, სადაც მოპოვებული აქვთ 413 მედალი: 129 ოქროსი , 113 ვერცხლის, 161 ბრინჯაოს მედალი. აქედან ქვეყნის შიდა ტურნირებში ოქროს – 67, ვერცხლის – 73, ბრინჯაოს 110 მედალი. ქვეყნის გარეთ გასვლით ტურნირებში მოპოვებულია ოქროს – 62, ვერცხლის – 40, ბრინჯაოს – 71 მედალი. აქედან მედლების უმეტესობა ჩვენს სხვადასხვა სტილის მოჭიდავეებზე: სამბისტებზე, ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის ფალავნებზე მოდის, მათ შორის მწვრთნელ ლუდმილა ფერაძის აღსაზრდელ ძიუდოისტ გოგონებზე, რომლებმაც ძიუდოს კიმანოსთან ერთად, ამ ბოლო ხანებში სამბისტების ფორმაც მოირგეს და მსოფლიო პირველობიდან ორი მედლით დაგვიბრუნდნენ. აღარაფერს ვამბობთ მათ მიერ ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული წარმატებების შესახებ. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ***გარეჯელი ფალავანი გოგონების მწვრთნელმა ლუდა ფერაძემ წელს გაიარა ევროპის უნგრული აკადემიის კურსი ძიუდოში და მიენიჭა* საერთაშორისო მწვრთნელის წოდება.**

უდავოდ აღნიშვნის ღირსია ***გაერთიანების უფროსი მწვრთნელ-მასწავლებლის* მამუკა მათიაშვილის *საქმიანობა,*** რომლის აღსაზრდელები ასე უხვად იმკიან უმაღლესი სინჯის მედლებს საქართველოსა თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მან ლუდმილა ფერაძის მსგავსად ***გაიარა ევროპის უნგრული აკადემიის კურსი და მინიჭებული აქვს* საერთაშორისო მწვრთნელის *წოდება,*** ქართული სპორტის წინაშე დამსახურებული ღვაწლისათვის კი ***საქართველოს ძიუდოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა***.

გარეჯული სპორტის ისტორიაში თავიანთ სიტყვას ამბობენ სპორტგაერთიანების ***ჭადრაკის მწვრთნელები* ელენე ფარეშიშვილი, ირაკლი ქვლივიძე,** რომელთა აღსაზრდელების სახელები კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამ წარმატებებისათვის **ირაკლი ქვლივიძეს** უკვე მეხუთედ მიენიჭა ***კახეთის წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება.***

შესანიშნავ ფალავნებს უზრდის საგარეჯოს და ქართულ სპორტს თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი **რამაზ ასაბაშვილი,** რომლის ნიჭიერმა მოსწავლეებმა წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ევროპის, უკრაინისა და ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირებზე.

დაარსებიდან ორი წლის მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ „სპორტგაერთიანების“ ***კრივის სექციის მწვრთნელ* ზურაბ იმნაძის** მოკრივეებს, რომლებიც მედლების გარეშე არასოდეს ბრუნდებიან ქვეყნის მასშტაბით გამართული შეჯიბრებებიდან და იმედია მომავალში საერთაშორისო რინგზეც გამოსცდიან თავიანთ ძალებს.

მომავალ 2017 წელშიც გვიმრავლოს მათ მიერ სპორტულ არენაზე მიღწეული წარმატებები.

უსაფრთხოების საფარაჯოზე

სახანძრო-სამაშველო სამსახური მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კახეთის (თელავის) ქ. საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების (უფროსი: სამოქალაქო უსაფრთხოების უფროსი ლეიტენანტი **ზაქარია ოტიაშვილი**) მეხანძრე-მაშველებს არაერთხელ უსახელებიათ თავი როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ისე სხვა მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მათი ქონების გადარჩენის საქმეში. ამაში უჩვეულო არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ 32 კაციან კოლექტივში, დაწყებული უფროსიდან, მისი მოადგილე გიორგი შიოშვილის, უფროსი ინსპექტორების იმედა ბაბაკიშვილის, ვახტანგ დიდმელაშვილის, ინსპექტორების გიორგი ასთავიშვილის, გიორგი კაკუტაშვილის და მეხანძრე-მაშველების ჩათვლით, ყველა ამ საქმის პროფესიონალი და გამოცდილი მუშაკები არიან. ეს ცოდნა მათ თაობიდან თაობაზე გადმოეცათ. ამ საქმეს კი მართლაც სჭირდება გამოცდილება და მაღალი პროფესიონალიზმი, როგორც ხანძრების და სტიქიური უბედურებების შემთხვევაში ხშირად თვით მეხანძრის უსაფრთხოება და სიცოცხლე დგება რისკის ქვეშ და მათ ერთ მცდარ ნაბიჯსაც შეუძლია გამოუსწორებელი შედეგების მოტანა.

როგორც წინა წლები, გარეჯელი მეხანძრე-მაშველებისათვის დაძაბული გამოდგა 2016 წელი. 1 დეკემბრის მდგომარეობით მათ მოუხდათ 109 ხანძრისა და 120-მდე სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობა, ამ დროს შეძლეს განსაცდელში ჩავარდნილი ჩვენი ათეულობით მოქალაქის ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენა.

აღნიშნული 109 ხანძრიდან მეტი წილი წაკიდებითი ხანძრებია, რომელთა ჩაქრობა ოპტიმალურ დროში დიდი ზიანის გარეშე დასრულდა, თუმცა, ჰქონდათ ვენახების, საცხოვრებელი ბინებისა და შენობა-ნაგებობების ხანძრების შემთხვევები, რომელთა უმეტესობის ჩაქრობა საკუთარი ძალებით შეძლეს, ზოგიერთის ჩაქრობაზე კი სხვა სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახმარება დასჭირდათ. მაგალითად, 18 მარტს ხანძარი გაუჩნდა გიორგიწმინდელი მაყვალა და თენგიზ მეკოკიშვილების საცხოვრებელ ბინას და დამხმარე ნაგებობას, სადაც დასახმარებლად გამოიძახეს გურჯაანის, თბილისის, ორხევის ავტოცისტერნები, ასევე მოხდა 9 ივნისს საგარეჯოს ყოფილი ბავშვთა საავადმყოფოს შენობაში განმეორებითი ხანძრის ჩაქრობის დროს.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკებს არანაკლები ძალისხმევა სჭირდებათ საგზაო ავტოავარიების დროს დაზარალებული მგზავრების დახმარების შემთხვევებისას. ასეთი შემთხვევის ადგილზე ერთდროულად სამი სამსახური – სახანძრო, პოლიცია და სასწრაფო დახმარების მუშაკები გადიან. მგზავრთა გადარჩენის საქმეში მათ დიდ დახმარებას უწევს ის ახალი პიკაპი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გადასცეს და რომელიც აღჭურვილია ყველა იმ სათანადო აღჭურვილობით, რომლებიც საჭიროა დაზიანებული მანქანებიდან მგზავრთა გამოსაყვანად.

სამსახურში შემოღებულია სამცვლიანი 24 საათიანი მორიგეობა, თითოეულ ცვლაში 9 მეხანძრე-მაშველის ოდენობით. ჰყავთ ორი ავტოცისტერნა, რომლებიც მუდამ მზადყოფნაში არიან ნებისმიერ დროს გამოძახებაზე გასასვლელად.

მილოცვა

დაბადების დღეს და 2016 სპორტული წლის საუკეთესო მიღწევებით დამთავრებას ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს **გია მაისურაძეს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კვლავაც შემართებულ, მიზანდასახულ საქმიანობას ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა აღზრდისა და წარმატებების საქმეში

თანამშრომლები

მთის კანონი ამოქმედდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიიღეს გომბორის, უჯარმის, კოჯბანის თემებმა, სოფლებიდან: ანთოკი, მარიამჯვარი, ზემო ყანდაურა და სათაფლე (სულ 17 სოფელი).

გარეჯელ სპორტსმენთა საუკეთესო ათეული

1. კობა მჯედლიშვილი

ძიუდო
ევროპის ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის;
ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული (გუნდური);
ევროპის თასის მფლობელი (ჩეხეთი).

2. ზურაბ ერბოყონაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა
ევროპის თასის მფლობელი (გუნდური);
უკრაინის და ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირების ბრინჯაოს პრიზიორი;

3. ირაკლი კუპატაძე

სამბო
ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

4. თამაზ კირაკოზაშვილი



ძიუდო
საქართველოს 2016 წლის ჩემპიონი
ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული (გუნდური).

5. ლაშა მათიაშვილი



სამბო, ქართული ჭიდაობა
საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში
ჯაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში.

6. ნატალია ყიფშიძე

ძიუდო, სამბო
საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში
მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში.

7. დავით ხუციშვილი

თავისუფალი ჭიდაობა
უკრაინისა და **ყაზახეთის საერთაშორისო** ტურნირების ბრინჯაოს პრიზიორი.

8. თინიკო რევაზიშვილი

ძიუდო, სამბო
საქართველოს ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში
მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ჭიდაობა სამბოში.

9. ამირან დარბაისელი

ქართული ჭიდაობა, ძიუდო
საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში ჭაბუკთა შორის.

10. ნიკოლოზ კევლიშვილი

ჭადრაკი
საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში 12 წლამდე ბიჭებს შორის.

ძიუდო

„საგარეჯო-სუპერსტარი“ — ევროპის „ოქროს ლიგის“ გათამაშების ჩემპიონი

17 დეკემბერს გროზნოში ჩატარდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის „უმაღლესი ლიგის“ გათამაშება, რომელშიც ქართულმა ძიუდოს კლუბმა „საგარეჯო-სუპერსტარმა“ ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა – გახდა ამ გათამაშების ერთპიროვნული გამარჯვებული და ჩემპიონი.

ამ ნანატრი ჯილდოს მოსაპოვებლად „საგარეჯომ“ პირველ შეხვედრაში 3:2 დაამარცხა პორტუგალიური კლუბი „სპორტინგი“, მომდევნო შეხვედრაში 5:0 „გათელა“ ამ არც თუ დიდი ხნის წინ ევროპული საკლუბო ძიუდოს ფლაგმანი „აბენსბერგი“, ფინალში კი დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხეს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ფავორიტი გუნდი „იავარა ნევა“, რაც ჩეჩნეთის პრეზიდენტის კადიროვის თვალწინ მოხდა.

ამ შეხვედრის გმირი ჩვენებური მძიმეწონოსანი ძიუდოისტი, ცნობილი პატარძეულელი ფალავნის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპის ოთხგზის ჩემპიონის გივი ონაშვილის შვილიშვილი ლევან მატიაშვილი იყო, რომელმაც ბოლო, გადამწყვეტ პაექრობაში ჩინებული კისრულით დასცა ბევრად მასზე ტანმაღალი რენატ საიდოვი და წმინდა გამარჯვება ჩაიწერა.

„საგარეჯო სტარის“ ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ნიჯატ შიხალიზადემ, ახალგაზრდა ბაგრატ ნინიაშვილმა (ორივე 66 კგ, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73კგ) საბერძნეთის მოქალაქე ქართველმა ლეგიონერმა რომან მასტოპულოსმა (81კგ), ბექა ღვინიაშვილმა (90კგ), ლევან მატიაშვილმა და გუგა კიბორძალიძემ (ორივე +90კგ).

გ. დაბახიშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაზეთის კორესპონდენტს გივი დაბახიშვილს მამიდის

ცაცა დაბახიშვილის

გარდაცვალების გამო.